ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 231

ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12. . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11. . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10. . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9. . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8. . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7. . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

# ივერია

№ 231

ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს 1901 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება

I

## ვენეციელი ვაჭარი

დრამ. 5 მოქმედებად შექსპირისა თარგ. დ. ყიფიანისა.

ნაწილეობენ ქალბატონნი: ლეჟავა, მდივანი, გივიშვილისა; ბატონნი: ნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ყვდოშვილი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

მდეგი წარმოდგენა იქნება შათირიშვილის ბენეფისი; მზადდება ახალი ესა „ოქროს ევა“, კომ. 3 მოქ; „მსხვერპლისთვის მსხვერპლი“ დრ. 4 მოქ.

(3—6.—2)

ისის გუბერნიის თავად-
ნაურთა წინამძღოლი თავადი
დ. ზ. მელიქიშვილი
ორჩილესად სთხოვს ტფილისის
ბერნიის თავად-აზნაურთ მობრ-
დნენ **კერძო მოლაპარაკება-**
ედ ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს,
ამოს 7 საათზედ, ტფილისის
თავად-აზნაურო ბანკის სადგომში,
ელინის ქუჩაზედ, თავად-აზნა-
თა სახლში.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. [illegible] აპეტიანცი.** 1—1 ½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7 ½ ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7 ½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

**ქ. ვ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

**გ. გ. მაღალაშვილი.**—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ა. მ. შატილოვი**—თვალის, 10—11 საათ.

**ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე** ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი** — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

**ს. ა. ვოინო**—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

**ი. დ. ბებთაბეგოვი.** სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1 ½—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

**მკურნალი**

## მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

---

# ფელეტონი

—

## ალბატონი დე-კამპოდასი“.

დია ერთ მოქმედებად ჟიულიენ ბერრ დე-ტიურიკისა.

**მოქმედნი პირნი:**

ნი დეპელპონ.
რმენ, იმისი ძმის-წული.
ლ დე-ქერვალ, დეპელპონის ნათესავი.
ნუა, მოხუცი მოსამსახურე.

—

ნიერი და ფართო სასტუმრო ოთახი კში; სცენის იქით ტერრასა მოსჩანს, ვ ბაღი.

### გამოსვლა პირველი.

ნი დეპელპონი დივანზედა ზის და ვს, შემოდიან ჟერმენი და ბენუა, პირ- ამზონკაში გამოწყობილი, მეორე— ეირო ტანისამოსში.

**ნი დეპელპონ** (მუშაობას თავს ანე- და საათს დაჰყურებს). მალე სამი შესრულდება, ჟერმენი-კი არ- სჩანს... (სცენის გარეთ ხმაურობაა) ს!..

**რმენი.** (შემოდის. ბენუა ახლავს) მამიდა, რა მშვენივრად ვისეირ- , რამდენი ვისიამოვნეთ! (გადა-

**ნი დეპელპ** (ჰკოცნის). ისიამოვ- , მაგრამ დაიგვიანეთ-კი... ცო- არ იყოს შევშინდი კიდეც: ვი- ე, ხომ არაფერი დაემართა- .

**რმენი.** რა იყო შესაშინებე- . ბენუა მახლდა, იმასთან-კი ისე ვარ ხოლმე, როგორც გალავანში!..

**ქ-ნი დეპელპ.** ძალი ნ იმედი გქონია!.. ესეც-კია, ბენუას ვენდობი.

**ბენუა** (შლიაპას ატრიალებს ხელში). დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ქალბატონო... ახალგაზრდა ქალბატონი ისევე მიყვარს, როგორც თქვენ... და ჩემის დაუდევრიბით რომ რამე დაემართოს... ჯოჯოხეთში იყოს ჩემი თავი!..

**ჟერმენ.** მართალია, ბენუა, მართალი!... (ალერსიანათ ხელსა სცემს მხარზედ). მეც მიყვარხარ, ჩემო მოხუცო!..

**ქ-ნი დეპელპ.** რა ვიცი, მოსვენებას კი არ აძლევ და!..

**ჟერმენ** (ღიმილით). ჩვეულებაა, პატარაობითვე შეთვისებული... ესეც არ იყოს, ეწყინება, რომ დავივიწყო... მართალი არ არის, ბენუა?..

**ბენუა** ჭეშმარიტებაა, ქალბატონო... ეგრე რომ არ მომექცეთ, უსარგებლო და გამოუსადეგარი მეგონება ჩემი თავი... (ქ-ნ დეპელპონს). აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, ქალბატონო! ეს ხომ მაშინ დაიწყო, როდესაც საწყალ ბატონთან დავდექი... ბატონი მაშინ ჯერ კიდევ კაპიტანი იყო... ახალგაზრდა ქალბატონი მესამე წელიწადში გადადგა; იმ დროს ძალიან ეხალისელებოდა ჩემი თმის ცოდილი... საწყალს სამწუხაროდ (ხელს გადაისვამს მელოტ თავზედ), ეხლა ნება-უნებურად სხვა რამ უნდა გამოიგონოს!..

**ქ-ნი დეპელ.** აკი იგონებს კიდეც... (ჟერმენს) იცი, გუშინ რა ძალიან შევშინდი, როდესაც დავინახე, ბენუა როგორ ყურყუმელაობდა ტბაში... ადვილად შეიძლებოდა დამხჩვალიყო... თურმე ნუ იტყვი, ბეჭედს ეძებდა, რომელიც შენ ჩაგივარდა...

**ჟერმენ.** მეც საკმაოდ გავცოცხე მაგისთვის...

**ქ-ნი დეპელ.** კარგადაც მოქცეულხარ; მაგრამ რაკი მაგისი ხასიათი იცოდი, ნაკლებად უნდა გეწუწუნა შენის დანაკარგის გამო... არა, რას არ გამოიგონებ ხოლმე! აბა, ერთი თუ ღმერთი გწამთ, მითხარი, რად დაგჭირდა, რომ წარსულ კვირას ადექი და ბენუა ნატარიუსის თუ ვექილის ტანისამოსით შემოსე?

**ჟერმენ** მაპატიე, მამიდა! თვითონ დამემოწმება, რომ კეთილის განზრახვით ჩავიდინე... ჩარდახში ძველ ნივთებსა ვსინჯავდით და შემთხვევით სკივრს წავაწყდი, თითქმის სულ ახალის ტანისამოსით სავსეს. უთუოდ ეს ტანისამოსი კოშკის წინანდელ პატრონს დარჩა... ტყუილად წახდენას, გადავწყვიტე გამომეყენებინა ნაპოვნი ნივთები... წარმოიდგინე ჩემი სიხარული, როდესაც ტანისამოსი საუცხოოდ გამოადგა ბენუას... (ბენუას) გამოტყდი, ხომ კარგად გამოიყურებოდი იმ გრძელ რედინგოტში?

**ბენუა.** შესაძლებელია, ქალბატონო, თუმცა ის ტანისამოსი ისევე მიხდება, როგორც ვირს კურტანი!.. თუ მაინც-და-მაინც გსურთ მასიამოვნოთ, აჩუქეთ რედინგოტი მებაღეს... მებაღე სამოქალაქო უფლების მომხრეა და სიხარულით ცას მოეწევა! (ცოტა ხანს შემდეგ) საქირო ხომ აღარა ვ-რ, ქალბატონო?..

**ქ-ნი დეპელპ.** არა... წადი, ბენუა... (მიდის).

**ჟერმენ.** მოიცა, მოიცა!..

**ბენუა** (მობრუნდება). რას მიბრძანებთ!

**ჟერმენ.** კინაღამ დამავიწყდა!.. ადი ჩემს ოთახში და ფანჯრიდგან, თუ ღმერთი გწამს, ნეგატივები ჩამოიღე.

**ბენუა.** მესმის, ქალბატონო!

**ჟერმენ.** ფოტოგრაფის მანქანაც არ დაგავიწყდეს... ჰო, სოფელშიაც ჩაირბინე და ჩემ მოხუც კასტუს 20 ფრანკი ჩაუტანე. (ქ-ნ დეპელპონს) ავადაა საწყალი, მღვდელმა მითხრა, სულს იქით არაფერი გააჩნიაო.

**ბენუა.** ჩაუტან, მაგაზე ნუ გეფიქრებათ...

**ჟერმენ.** შენვე მოგანდობ ჩემ იუბკას, რომელსაც ველოსიპედზედ ვხმარობ... ერთ ადგილას კარგა დიდი ნაჭერია გამოგლეჯილი... (ქ-ნ დეპელპონს) სრულებით აღარ მახსოვს, სად და როგორ დაიხა... (ბენუას) ეცადე კოხტად და მოხერხებულად დააკერო...

**ბენუა.** ნუ შესწუხდებით, დავაკერებ?.. სხვა ხომ არაფერს მიბრძანებთ?

**ჟერმენ.** არაფერს, ჩემო კარგო ბენუა!.. (ბენუა მიდის) ჰო, მართლა... კიდევ არის... (ბენუა დაბრუნდება). რახან სოფელში ჩახვალ, ბარემ სადგურისკენაც შეუხვიე... ორი ვერსი ნაკლები იქმნება თუ მეტი არ შეგაწუხებს... გაიგე, ჩემ სახელზედ ხომ არაფერია „Bon Marche“-საგან... (ქ-ნ დეპელპონს) ეზოს მეთვალყურეს შვილს უნათლავ და საჩუქარი შევუკვეთე... (ბენუას) მგონი აღარაფერი დამრჩა.. ამ საქმეების შემდეგ სრული თავისუფლება მომინიჭებია...

**ქ-ნი დეპელპ.** (სიცილით) რა გულკეთილი ხარ?.. იმდენი საქმე დაავალე, რომ საექვოა, გამოიყენებს კი მაგ თავისუფლებას! (ბენუა სიცილით გადის).

### გამოსვლა მეორე

ქ-ნი დეპელპონი და ჟერმენ.

**ქ-ნი დეპელპონი.** საწყალი! კამისიონერიც და მოსამსახურეც ეგ არის!.. ყველაფერს გიკეთებს!..

**ჟერმენ** უსაქმოდ მოწყენილია ხოლმე...

**ქ-ნი დეპელპ.** ერთმანეთს არ ჩამოუვარდებით! თვითაც გამოჭრილი მამაშენი ხარ! შენსავით ისიც ერთ ადგილას ერთ წუთს ვერ გაჩერდებოდა ხოლმე... მუდამ დაფუსფუსებდა, როგორც პორბალი, ისე ტრიალებდა... რას არ აკეთებ, რა საქმეს არ წაავლე **ხელი**!.. ცხენო-

# ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყვეთ სარწმუნო კაცთაგან, რომ საქართველოში იმართება სახელმწიფო სადგილმამულო ბანკი გლეხთათვის და, ვიდრე გაიმართებოდეს, საჭიროდ დაუნახავთ ზოგიერთი ცნობანი მოგროვდეს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში საკუთრივ და ამიერ კავკასიაში საერთოდ. ამ ცნობათა შეგროვებას უკვე შესდგომიან.

*** საერო განათლების სამინისტროსთან შემდგარი საგანგებო კომისია მალე თურმე განიხილავს იმ საგანს, თუ აღნიშნულ სამინისტროს შტატები როგორ იქმნეს გაფართოვებული და მასწავლებელ ქალებსა და კაცებს ჯამაგირები რამდენად მოემატოს.

*** როგორც სკრის სადგურიდგან იუწყებიან, 21 ოქტომბერს, დილის 5 საათზედ, მე-208 ვერსზედ, ლიანდაგზედ მიმავალს რკინის გზის მუშას დავით კაკაშვილს სამგზავრო მატარებელი № 66 თურმე წამოეწია, რომელმაც ორივე ფეხი მოსწყვიტა მუხლს ზევით. საჭირო სამკურნალო დახმარების შემდეგ დაშავებული ტფილისის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი.

*** საპატიმროთა მკურნალებისათვის საზოგადო ინსტრუქციის პროექტი შეუმუშავებიათ.

*** ბაქოელ ნავთის მწარმოებელთა ნავთის კოშკიდგან, რომელიც კავკასიის გამოფენაზეა ხალხის საჩვენებლად გამართული, დღემდის ტფილისის საბალოსნო სკოლის სასარგებლოდ აუღიათ სულ 2,300 მანეთი.

*** სამთო სამმართველოთა ახალის შტატებისათვის პროექტი უკვე შეუმუშავებიათ.

*** შაგალის სადგურიდგან იტყობინებიან, რომ 20 ოქტომბერს, დილის 8 საათზედ, ტელეგრაფის მოხელის ახლად გადაკეთებულს ბინაში უდროოდ დახურულ ღუმელისაგან სასიკვდილოდ დაბნედილნი უნახავთ მხატვარი მუშები ტიგრან და ანიკ იმერხანოვები.

*** როგორც ტატლუს სადგურიდგან იუწყებიან, 22 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, მე-386 ვერსის გზის დარაჯს ბელან ოჰანეზოვს პურის სასყიდლად ფულის გადაცემა სდომებია მიმავალს მატარებელზედ მჯდომ მეორე დარაჯისათვის; ამ დროს ფეხი წასხლტომია; მატარებელს ქვეშ ჩავარდნილა და მარცხენა ფეხი წაუწყვეტია მატარებელს კოჭამდე. მიზეზი ამ უბედურებისა ის არის, რომ მატარებლებში დუქნები აღარ არის, როგორც ეს წინად იყო, და მუშები იძულებულნი არიან ამ გვარის გაჭირვებითა და სახიფათოდ ეზიდებოდნენ შორიდგან პურსა.

*** 20 ოქტომბრის დილის სხდომაზედ კავკასიის მეღვინე-მევენახეთა კრებამ განიხილა მოხსენება ბ-ნ ზავაროვისა იმის შესახებ, რომ მთელს კავკასიაში შემოღებული იქმნას ზოგიერთის ცვლილებით ამ ერთის წლის წინად შავის ზღვის პირად მდებარე სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის უმაღლესად დამტკიცებული წესი. კრებამ ცოტაოდენის კამათის შემდეგ მიიღო ზავაროვის წინადადება, რომლის განსახორციელებლადაც შუამდგომლობა უნდა აღიძრას მთავრობის წინაშე. ზავაროვის მიერ დასახელებულ ცვლილებების გადასათვალიერებლად და შემდეგ მოხსენების წარმოსადგენად კრებამ განსაკუთრებული კომისია ამოარჩია. ამავე სხდომაზედ განიხილეს კომისიის მიერ შემუშავებული მოხსენება იმის შესახებ, მაგარ სასმელებზე ჩვენში მონოპოლიის შემოღება საზარალო იქნება თუ არა მეღვინეობა-მევენახეობისთვის. კრებამ, გაიცნო რა დაწვრილებით ყველა ის სამწუხარო შედეგი, რომელიც რუსეთში მოჰყვა მონოპოლიის შემოღებას, ერთხმად გარდასწყვიტა შუამდგომლობა იქმნეს აღძრული მთავრობის წინაშე, რომ კავკასიაში მონოპოლია არ შემოიღონ. კრებამ კომისიის მიერ წარმოდგენილი შვიდი სხვა წინადადებაც მიიღო მცირეოდენის ცვლილებით. საზოგადოდ ეს წინადადებანი ეხებიან, ღვინის წარმოება ვაჭრობის საქმის მოწყობას.

*** მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება დაურთავს, რომ კავკასიის მეღვინე-მევენახეთა კრების სხდომები პირველს ნოემბრამდე გაგრძელდეს.

*** შაბათს, 27 ოქტომბერს, ტფილისის ვაჟთა პირველ გემნაზიის სადგომში მოხდება კრება რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა გრაფინია უვაროვის თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზედ განხილულ იქნება მოხსენებანი ე. თაყაიშვილისა, ერიცოვისა და ა. ქალანთარისა.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი შაბათს, 27 ოქტომბერს, სხვათა შორის, განიხილავს საქმეს შორაპნის მაზრის სოფ. კაცხის მამასახლისად ნამყოფის იოსებ ცერცვაძისას, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ედება ბრალად

# დაბა და სოფელი

## წერილი რიონ გაღმის კუთხიდგან.

ჩვენს კუთხეში ქინახულის შემოკრება ოქტომბრის ათამდის ყველგან მოთავდა: სიმინდის ყანები პირველად კარგი სჩანდა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა: მოსავალი წელს მეტად ნაკლებია წარსულ წლებთან შედარებით. სიმინდი მესამედი ძლივსღა შეჰკრიბეს მცხოვრებლებმა და ისიც სანახევროდ უვარგისია, რადგანაც მარცვალი წვრილი აქვს, ტარო პატარა და დაჭიანებული. ძველი სიმინდი ადრიანად გაიყიდა; ამისათვის ხალხი დაღონებულია და შიში აქვს, ვაი-თუ სამყოფი სარჩო წელს არ ექმნეს.

ახალი სიმინდი ეხლავე ფუთი ორ აბაზათა ფასობს; გაზაფხულზედ-კი, ვგონებ, ოთხი აბაზიც გახდეს. ყოველს შემთხვევაში მოსავალისათვის მცხოვრებლები არა თუ გაჰყიდიან, თვითონ საყიდელი ექმნებათ სიმინდი.

აქეთ სოფლებში წელსაც იჩინეს თავი ბევრგან შემოდგომის ვაჭრებმა, რომლებმაც ყანებში ჩადგეს „ბუდკები“ და ხუთი მანეთის წვრილმანი ხორაგით იმდენი სიმინდი იშოვეს, რაც თვითოეული მუშა კაცს მოუვიდა წელს. ასეთს ვაჭრებს სასწორზედ სამი დიდი სიმინდის ტარო დაედოთ, ღამე ეს სიმინდის ტაროები წყალში ჰქონდათ ჩაყრილი, დილიდგან სასწორზედ აწყობდნენ და რასაც ეს ტაროები აიწონდა, ის თითო კაპეიკათ მიჰქონდათ. დასველებული ტაროები ხუთ-ექვს ტაროს იწონიდა; ამ გვარად ჩარჩობდნენ ეს ვაჟბატონები და სხვის ნაოფლარს მუქთად შოულობდნენ.

წინად ბოქაულები ყოველთვის უშლიდნენ სიმინდზედ ვაჭრობას, მაგრამ წელს-კი არავითარი ყურადღება აღარ მიუქცევიათ.

ღვინო წელს სულ აღარ არის; სადაც შერჩა ვენახს მარცვალი, ისიც დღეს მკვახეა. ზემო იმერეთიდგან დაიწყეს ჩალვადრებმა მაჭრების ზიდვა, მაგრამ ეხლავე ბოთლი აბაზათა ჯდება, როდესაც წინად ორს ბოთლს ხუთ შაურად ვიყიდიდით. ძველი ღვინო, ჩალვადრებისაგან ნასყიდი, ბოთლი ხუთი შაური ჯდება; დუქნებში ექვს შაურად იყიდება.

ბამბისა და ჩალის მოსავალიც წელს მთლად განახევრდა. შეშა აღარ იშოვება; სადაც არის, ძლიერ ძვირობს: საჟენი შეშა, რომელიც შარშან რვა-ცხრა მანეთად ვიყიდეთ, წელს 12 მანეთადა ფასობს. რადგანაც ტყეები ძირში იჭრება, ხუთის წლის შემდეგ უთუოდ ძლიერ გაჭირდება შეშის შოვნა. ერთი სიტყვით, წელს აქაური მკვიდრი არაფრით არ არის კმაყოფილი, იმედი დაკარგული აქვს.

ამინდები ეს ერთი კვირაა, რაც აქეთ კარგი სდგას; წინა კვირებში-კი ბევრი იწვიმა. მაგრამ როდესაც მახლობელი მთები ჩამოთოვა, მას შემდეგ სოფლებში მზიანი დღეები დადგა.

გზები მამასახლისებმა ცოტათი შეაკეთეს, მაგრამ საზამთროდ კიდევ თხოულობს შეკეთებას. ზოგირებ ბორნებამდის და ბორანს იქით დამტვრეულია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნი მაზრის უფროსი ჩვენს უნუგეშო კუთხეს არ დაივიწყებს და ბოქაულებს გზების დათვალიერებას კიდევ მიაგონებს.

ვლადო ბზვანელი

(დასასრული იქნება).

---

სნობა, ველოსიპედი, ხატვა, ფოტოგრაფია; დაშნაზედ ვარჯიშობასაც-კი შეუდექი...

**ჟერმენ.** (ქ-ნ დეპელპონის პირდაპირ დაჯდება ამოოხვრით). რას იზამ!.. როგორმე უნდა გავატარო თუ არა დრო!..

**ქ-ნი დეპელპ.** ესე იგი დავიწყებას მიეცე .. (ცოტახანს უკან, უფრო სერიოზულის კილოთი) განა ჯერ კიდევა ჰფიქრობ „იმაზედ?“

**ჟერმენ** (თითქოს უგულოდ). ხანდისხან... რასაკვირველია, რომ გავთხოვდე... მაგრამ მე ხომ გათხოვება არ მეკუთვნის.. მართალი არ არის?.. არ უნდა გავთხოვდე მით უმეტეს, რომ აქ შენთან, ჩემო ძვირფასო მამიდავ, ძალიან კარგადა ვცხოვრობ... ბედნიერი ვარ!..

**ქ-ნი დეპელპ** (ჟერმენს უყურებს თავისთვის) ჰმ!.. არა იმ წუწკმა პოლმა როგორა სთქვა უარი ასეთ საუნჯეზედ!..

**ჟერმენ** (ცოტახანს შემდეგ. ფეხზედ წამოდგება)? განა შენ... შენ-კი გაიგე რამე... იმაზედ?

**ქ-ნი დეპელპ.** დიაღ, როგორ არა!.. იმისაგან კაცი ეღირსება რასმეს!.. უთუოდ ჯერ ისევ რუსეთშია, სადაც საქმეების გამო... მეტად საჭირო საქმეების გამო წავიდა... თუმცა შესაძლებელია, ამ ჟამად ჩინეთში ბრძანდებოდეს; ვინ იცის, იქნება პარიჟშიაც არის... უფრო-კი მე მგონია, აქ სადმე მახლობლად იყოს... მაგალითად, ურიაჟში... რამდენადაც ვიცი, იქაც საქმეები აქვს. განა გაიგებ, სად არის და სად არა ის ქარაფშუტა?.. არა, რა ეშმაკად მოვინდომე შენი თავი იმისთვის შემერთო!..

**ბენუა** (შემოდის დეპეშით ხელში). დეპეშაა ქალბატონთან (მისცემს დეპეშას და წავა).

**ქ-ნი დეპელპ.** (გახსნის და კითხულობს). „ურიაჟისაკენ მივეჩქარები. გზად შემოვივლი თქვენ სანახავად. პოლ.“ აკი ვთქვი, სადმე აქ ახლო იქნება მეთქი!..

**ჟერმენ** (ოდნავ აღელვებული). მაშ ხვალ მოვა.

**ქ-ნი დეპელპ** იქნება დღესაც მოვიდეს!.. საიდგან და როდისაა გამოგზავნილი დეპეშა? (უყურებს) „მაკონი“.. გზიდგან არის გამოგზავნილი... მოტანამდე ერთი საათი მაინც გავიდოდა... (საათს უყურებს) ჩემის გამოანგარიშებით პოლი სამის საათის მატარებლით ე. ი. საცაა უნდა მოვიდეს...

**ჟერმენ.** ეგრე გგონია?..

**ქ-ნი დეპელპ** (ჟერმენს უყურებს). თითქო ცოტათი გაღელვებს კიდეც ეს ამბავი!?.

**ჟერმენ.** ჰო... არა... იმისი მოსვლა მანაღვლიანებს...

**ქ-ნი დეპელპ** (თავისთვის) საწყალი ბავშვი!.. (იმას) ვინ იცის, იქნება ეხლა მოეწონო... ორი წელიწადი გავიდა, რაც ერთად ცეკვაობდით... მაშინ თითქმის ბავშვი იყავი, ეხლა-კი ქალი ხარ..

**ჟერმენ.** აბა, რას ამბობ მამიდა!..

**ქ-ნი დეპელპ.** გალამაზდი, გამშვენიერდი .. სწორედ გუშინა ვფიქრობდი შენზედ... მე მგონი თავზედ ხელ აღებული პოლ გულ-გრილად ველარ მოგექცევა, როდესაც დაგინახავს...

**ჟერმენ.** არა, არა, მამიდა, თუ ღმერთი გწამს, გთხოვ, ნურაფერს დაიწყობ... სრულიადაც არ მიმაჩნია სასახელოდ მოვეწონო ვისმეს მარტო იმიტომ, რომ გულკეთილი გავხდი.. დიაღ, შენ პოლს უთუოდ აზრადაც არ გაუვლია, რომ აქ შემხვდება... ვინ იცის, იქნება აღარც-კი ვახსომვარ... ამიტომ ვამჯობინებ, სულ არ დავენახო იმ ორ-სამ საათს, რომელსაც აქ გაატარებს...

**ქ-ნი დეპელპ.** გამიგონე: მე მგონია აზვიად...

**ჟერმენ.** არა, არა, მამიდავ, ნუ დაიჟინებ... ამ ორ წელიწადს დავშვიდდი, დავიწყებას მივეცი წინანდელი ოცნებანი; რაღა საჭიროა ხელ-ახლა გამოვცადო... მე ჩემს ოთახში დავრჩები, თუ საჭირო იქნება, იქვე ვისადილებ...

**ქ-ნი დეპელპ.** კარგი, მაგრამ...

**ჟერმენ.** გეხვეწები, მამიდავ. .

**ქ-ნი დეპელპ.** კარგი, კარგი, ისე მოიქეცი, როგორაცა გსურდეს! (ტერასასთან მივა და გაიხედავს) ის არის.. სწორედ ის არის . ხსენებაზედ ისიც გამოჩნდა! . (დაბრუნდება) უშველე თავს, ჩქარა!.. (ჟერმენი მიდის) ერთი ეს მითხარი, პოლმა რომ მაინცა მკითხოს შენს შესახებ?

**ჟერმენ.** არა მგონია . მაგრამ თუ მაგასაც მეღირსებს და მომიგონებს, უთხარი, გათხოვილია თქო .. თავის ქმარს აღმერთებს-თქო . შეგიძლიან დაუმატო, რომ ათიოდე შვილიცა მყავს . ამ რიგად იმის თანაგრძნობასა და შებრალებას მაინც ავცდები!. (გადის)

გამოსვლა მესამე

ქ-ნი დეპელპონი და პოლ

**პოლ** (შემოდის). ძვირფასო დეიდავ!..

**ქ-ნი დეპელპ.** (მიეგებება) ძლივს არ გამოცხადდი, შე უვარგისო, შენა!..

**პოლ** (ჰკოცნის). ოჰ, რა მოხარული ვარ თქვენს ნახვას!..

**ქ-ნი დეპელპ** მხიარულად). ჩემო ძვირფასო, თუ შენი სიხარული გულწრფელია, ძალიან ვწუხვარ, რომ ეგრე იშვიათად სარგებლობ მაგ სიხარულით... გადაიკარგე და ერთი ბარათიც-კი აღარ მოიწერე!.. როგორ არა გრცხვენიან!.. (დივანზედ გვერდით დაისვამს).

**პოლ.** დამნაშავე ვარ, დეიდავ, და არც ღირს ვარ სასჯელის შემსუბუქებისა; მაგრამ რომ იცოდეთ, რა გამოვცადე...

**ქ-ნი დეპელპ.** წარმომიდგენია... აი, ორი წელიწადია უკვე, რაც შენ რუსეთში წახვედი, იმ ბალის შემდეგ, მე რომ გავმართე... უთუოდ შენ გაქცევას არაფერი საერთო არა ჰქონდა ნამდვილ საქმეებთან... ჰო, მართლა, როგორა ბრძანდება მშვენიერი ქ-ნი ოსიპოვისა?

**პოლ.** უთუოდ კარგად არის.. ერთი წელიწადი იქნება, ერთმანეთი აღარ გვინახავს...

**ქ-ნი დეპელპ.** როგორ?.. მა გატაცებული სიყვარული...

**პოლ.** მაშინვე გატაცებული!.. საიდგან აიღეთ გატაცებული?

**ქ-ნი დეპელპ.** რა ვიცი, მთელი პარიჟი-კი ლაპარაკობდა და!.. აღარცა სჭამდი, აღარცა სვამდი... ხოლო როდესაც იმისი ქმარი, ბარონი ოსიპოვი, სამშობლოში დაბარეს, შენც რაღაც მიზეზით მგზავრობა მოგწყურდა... განა მართალი არ არის?..

**პოლ.** დასამალი აღარაფერი მაქვს, უნდა გამოვსტყდე... ბარონესსა ოსიპოვისა მართლაც მშვენიერი ქალია გულ-ახდით გეტყვით, ბარონესსას სრულიადაც დაუმსახურნია ის უსიამოვნება, რომელიც გამოსცადა... იცით თუ არა, დეიდავ, რომ უკვე წელიწადია, რაც ბარონესსა დაქვრივდა?..

**ქ-ნი დეპელპ** (სიცილით). ჰო... მესმის.

**პოლ.** იცინით?

**ქ-ნი დეპელპ.** რას იზამ!.. ცხოვრების მოვლენანი სხვა-და-სხვა ხასიათზედ სხვა-და-სხვა შთაბეჭდილებას ახდენენ... ბარონესსას დაქვრივებამ მე სიცილი მომგვარა!.. შენ-კი იმ შიშმა, რომ ცოლად შეგერთო, გასაქცევი გზა მოგაძ

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი**: მთამადნის მუშათა ფედერაციის მდივანმა კოტტმა გამოაქვეყნა ანგარიში ფედერაციის კომიტეტის სხდომებისა 7 ოქტომბრიდამ. ანგარიშში მოყვანილია კომიტეტის შემდეგი რეზოლიუცია: ამ შემთხვევაში, თუ მთავრობის პასუხი კეთილ-საიმედო არ იქნება, მდივანმა ამის შესახებ კომიტეტის ყოველს წევრს უნდა აცნობოს; წევრები თავის აზრს შეატყობინებენ მდივანს, რომელიც ამის შემდეგ განკარგულებას მოახდენს მუშაობის აკვეთის შესახებ იმ პირობით კი, რომ დელეგატებს ხუთი დღით ადრე ეცნობოს, როდის უნდა შეჩერდეს მუშაობა. მუშაობის ხელახლად დაწყების ბრძანებას გასცემს მდივანი ფედერაციის კომიტეტის წინადადებით.

— დეპუტატს ჟორჟ ბერრის სამშაბათს პარლამენტში უნდა შეეტანა რეზოლიუცია, რომელიც იწვევს მთავრობას სხვა სახელმწიფოთა მთავრობასთან ერთად მოისაზროს, როგორ შეიძლება აიძულონ ინგლისი, რომ დატყვევებული ბურები ბანაკებიდამ სანეიტრალო ტერრიტორიაზე გადაიყვანოს.

— საფრანგეთ-ოსმალეთის განხეთქილების შესახებ „Temps“ კონსტანტინეპოლიდამ 14 ოქტომბრის თარიღით ასეთი დეპეშა მიუღია: „მუნირ-ბეი მივიდა საფრანგეთის საელჩოში, ჰნახა ბ. ბაპსტი და უთხრა, სულთანისაგან მონდობილება მაქვს ლორანდოს სადავო საქმის მოსაწესრიგებლად 300,000 გირვანქა ჩაგაბაროთო. ბაპსტმა უპასუხა, მე არ შემიძლიან ოფიციალურ პირად მიგიღო, რომელსაც ნება აქვს ამ საქმის გათავებისა, და პასუხს მივცემო მხოლოდ გარეშე საქმეთა მინისტრის, ტევფიკ-ფაშის, ოფიციალურს წარდგენილობაზეო. მუნირ-ბეი ამის შემდეგ თურმე იკვეხნიდა, საქმე მოვაგვარე და ბაპსტი ჩემს წინადადებას პარიზში აცნობებსო. როდესაც მუნირ-ბეი ხელმეორედ მივიდა საელჩოში, ბაპსტმა ის არც კი მიიღო და შეუთვალა, რომ შემდეგშიაც აღარ მივიდეს.“ ეს ინციდენტი საგულისხმო მოვლენაა მით უმეტეს, რომ მუნირ-ბეი გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის ადგილზე ინიშნება გარდაცვალებულის დადიან-ფაშის მაგივრად.

**ოსმალეთი**. კონსტანტინეპოლში საფრანგეთის მთავრობისაგან მკაცრი ნოტა მიუღიათ, რომელშიაც ნათქვამია: „ოსმალეთი მარტო საფრანგეთს არ ეწინააღმდეგება ეხლა; მოსალოდნელია, რომ დიდი სახელმწიფოები ისარგებლებენ აწინდელის მდგომარეობით, შეერთებულის ძალით ჩაერევიან ოსმალეთის საქმეებში და აიძულებენ პორტას იმ მოთხოვნათა შესრულებას, რომლებიც კაი ხანია მოქუჩდათ“.

— რუსეთის ელჩმა ზინოვიევმა გამოუცხადა პორტას, რუსეთი ვერავითარ შუამდგომლობას ვერ გასწევს საფრანგეთსა და ოსმალეთს შუა; რუსეთის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ ურჩიოს ოსმალეთს, რომ ძალიან არ გაუწინააღმდეგდეს საფრანგეთს, რადგანაც განხეთქილებას დიდი ვნება შეუძლიან მიაყენოს ოსმალეთსო.

**ამერიკა**. ფილიპის არქიპელაგის კუნძულს სამარაზე ატეხილს ამბოხებას თურმე საშინელი სისასტიკის ხასიათი აქვს. მეამბოხეები უწყალოდ სტანჯავენ, ასახიჩრებენ და სწვავენ კიდეც ამერიკის ტყვედ წაყვანილს ჯარის კაცებს. ამერიკელებიც არ აკლებენ და არც ისინი ეკიდებიან სათნოებით მეამბოხეებს. ამერიკის გენერალს სმიტს 15 ოქტომბერს ადგილობრივ პრეზიდენტებისთვის და სოფლების მოთავეებისთვის მიწერილობა გაუგზავნია: 6 ნოემბრამდე დაასახელეთ ყველა ის, ვინც ამერიკის მე 9 ქვეითა რაზმს დაესხა თავს, თორემ ყველა პრეზიდენტები გუანში იქნებით გაგზავნილი და თქვენი ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ წაგერთმევათო. სამარას კუნძულზე მომეტებული ნაწილი სამხრეთით მდებარე ქალაქებისა დანგრეულია.

**ავსტრო-უნგრეთი**. საზღვაო ჯარის უფროსები ძალიან ჩააფიქრეს იტალიის ჯაშუშებმა, რომლებიც დალმაციის ნაპირებზე ჰმოქმედობენ. ლისსის მახლობლად საფისტო მატარებლები დაიჭირეს შიფრით დაწერილის წერილებით. პელაგოსსის მახლობლად ერთი იტალიის გემი თურმე ადგილებს ჰზომავდა. ამ გარემოებას სამხედრო წრეებში დიდს ყურადღებას აქცევენ.

— ვენგრიის მთავრობას 40 მილიონი კრონი გადაუდვია სამრეწველო კრიზისის შესამსუბუქებლად სამუშაოს ჯერ რკინეულობის ქარხნებს შეუკვეთენ, რომლებმაც ბევრი მუშები დაითხოვეს ამ ბოლო დროს.

---

## ჟურნალ გაზეთებიდან

(ამოკრეფილი ამბები)

—

ბერლინში ამას წინად, როგორც ერთი გაზეთი გადმოგვცემს, სილამაზის კონკურსი გაუმართავთ მამაკაცთათვის. „ჟიურის“ წევრად იყვნენ ექიმი ფრიჩი, ქანდაკების პროფესორი ბრეიერი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი იანენჩი და მხატვარი ფიჯა. საქმე სახის სილამაზეს კი არ შეეხებოდა, არამედ ტანის წესიერად განვითარებას, ესტეტიკისა და ანატომიის კანონების მიხედვით. 40 მსურველთაგან კონკურსში მონაწილეობის ნება მისცეს შვიდს. ამათგან სამმა საჩუქრები მიიღო. სამივენი საგიმნასტიო საზოგადოების წევრნი არიან.

* *

11 ოქტომბერს ბოგემის სამეფო სამეცნიერო აკადემიის საზოგადოების სხდომაზედ საგანგებოდ პატივისცეს შესანიშნავ ვარსკვლავთ-მრიცხველის ტიხო დე-ბრაგეს ხსოვნას ამ დღეებში სამასი წელიწადი შესრულდა, რაც ტიხო დე-ბრაგე გარდაიცვალა. სადღესასწაულო სხდომას დაესწრნენ მთავრობის, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელნი და სხვანი. ტიხო დე-ბრაგე დაიბადა 1546 წლის 24 დეკემბერს. სახელი ბრაგემ მალე გაითქვა. იმან დიდი სამსახური გაუწია მეცნიერებას.

*

ნიუ-გავენის უნივერსიტეტმა (ამერიკის შტატ კონნექტიკუტში) ამ დღეებში თავის დაარსების 200 წლის იუბილეი იდღესასწაულა. 1718 წლიდგან ამ უნივერსიტეტს სახელად იელის უნივერსიტეტი ჰქვიან. იელმა დიდ ძალი ფული შესწირა უნივერსიტეტს და იმიტომ დაარქვეს იმისი სახელი. საიუბილეო დღესასწაულს დაესწრო პრეზიდენტი რუზველტი, რომელსაც უნივერსიტეტმა უფლებათა დოქტორის დიპლომი მიართვა. ამ წოდებით დააჯილდოვა ევროპიელნი მეცნიერნიც, მათ შორის პროფ. ვალდეიერი. ამ იუბილეის გამო უნივერსიტეტს განუზრახავს ძვირფასის შრომის გამოცემა 30 ტომად. ამ შრომაში უნივერსიტეტის პროფესორების გამოკვლევანი იქმნება მოთავსებული.

* *

როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, საფრანგეთში დღემდე ნაპოლეონის კანონებზეა დამყარებული სამართალი. ამ კანონებით-კი, ისე როგორც სხვა ქვეყნების კანონმდებლობით, დიდის ბრიტანიისა და ჩრდილოეთ-ამერიკის გარდა, ქორწინება სარწმუნოებრივი საიდუმლოებაა და არავითარი კანონიერი ძალა არა აქვს პირობის მიცემას ცოლად შერთვის შესახებ. ინგლისისა და ამერიკის კანონებით-კი, მართალია, მიცემული პირობა არავის ძალას არ ატანს, არავის არ აიძულებს ისეთი ცოლი ან ქმარი შეირთოს, რომელიც არ მოსწონს, თუნდა პირობაც ჰქონდეს მიცემული, მაგრამ იმავე დროს გაუპატიურებულს მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ქონებრივი დაკმაყოფილება. ეს პირველის შეხედვით თითქოს „ვაჭრული“ შეხედულობა ნამდვილად ძალიან სამართლიანია და გონივრული. საფრანგეთში ამ ბოლო დრომდე პირობის მიცემის საშუალებით მოტყუებული ქალი სრულიად უნუგეშოდ რჩებოდა, ვერც ჯვარის-წერას აიძულებდა და ვერც ფულს მოითხოვდა. სენის სამოქალაქო ტრიბუნალმა (სასამართლომ) პირველად დაარღვია ამას წინად ეს ტრადიცია და ერთის პირობის მიცემულ-მოტყუებულის ქალის საჩივრის გამო შემდეგი დაადგინა: თუ ამ ქალს სამის თვის განმავლობაში ცოლად არ შეირთავს პასუხის მგებელი მდიდარი ვაჭარი, რომელმაც ქორწინების იმედით მოატყუა და გააუპატიურა მოჩივარი, იგი მოვალეა 50,000 ფრანკი გადაიხადოს ქალის სასარგებლოდაო. ეს განაჩენი ახალს გზასა ჰკაფავს ქორწინების იურიდიულ მდგომარეობისათვის საფრანგეთში

---

## გ ა კ ვ რ ი თ

დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.

—

ისე უხდებოდა ბ-ნ გ. დეკანოზიშვილის წერილს*) „გოგრიების“ ხსენება, როგორადაც ქულაჯოსანს მის ბრწყინვალებას არგანზედ ქეიფი და ტლინკვა.

ეგ ისე, გაკვრით. ახლა საქმე ვთქვათ:

საზოგადოება არ ივლის თეატრში, თვით საყვარელი-კი არა, უსაყვარლესი აქტიორიც რომ თამაშობდეს, თუ წარმოსადგენი პიესა მოკლებულია აზრს და შინაარსს. თეატრი სკოლაა, ბრძანებენ. თეატრს სკოლად აზროვანი პიესა და ნიჭიერი მსახიობი შექმნის; უერმანეთოდ, ცალცალკე—თითქმის არაფერს.

დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრად ერთ დროს მეც გახლდით. დიდი განძრახვა ჩვენც გვქონდა: რეპერტუარის შედგენა (და, მაშასადამე, კლასიკების თარგმნა); სახალხო წარმოდგენების მართვა ქალაქში და პროვინციაში, მეტადრე დღეობებში; ჟურნალის გამოცემა, ორკესტრის და ხორის შექმნა; დრამატიული

---

*) ცნობის ფურცელი, № 1613

---

ნინა, ასე არ არის?

**პოლ.** უსამართლოდ მექცევით!

**ქ-ნი დეპელპ.** სულაც არა! შენ, ჩემო მეგობარო, ძალიან კარგად გიცნობ! აბა მაშ მითხარი, რამ გაიძულა ურიაჟში გამოსაქცევად?..

**პოლ.** რამა და ექიმის ბრძანებამ..

**ქ-ნი დეპელპ** ჰოო. მაშ შენი ექიმი მიჰხვდა, რომ ურიაჟში შეჰხვდები ბარონესსას, რომელსაც სილამაზე ხელახლა დაუბრუნდა, რაკი მეორედ გათხოვდა ვიღაც ავსტრიელ დიპლომატზედ.

**პოლ.** ეჰ, მამიდავ, თქვენგან კაცი ვერაფერს დაჰმალავს!.

**ქ-ნი დეპელპ**. ისევ ისა ხარ, რაც იყავი. მუდამ აღკრძალულ ნაყოფს დაეძებს, ევას ვაშლს

**პოლ.** დიახ, ისევ ისა ვარ... (ფეხზედ წამოდგება) როგორც აკვანში ვიყავი, ისეთივე საფლავში ჩავვწვები... რას იზამთ! დაბრკოლებანი და განსაცდელი ისევე ამანთებენ ხოლმე, როგორც კაიენური პილპილი. შეგიძლიანთ არ დამეთანხმოთ, მე კი, სწორე მოგახსენოთ, უდიდეს ფლიდად და მატყუარად მიმაჩნია ის მამა-კაცი, რომელსაც გათხოვილ ქალებისა ეშინიან და ამავე დროს-კი არ ერიდება ახალგაზრდა ქალების სწორე გზიდგან გადაცდენას, სარგებლობს იმათის გულ-უბრყვილობით, ან განუხორციელებულის იმედებით თავბრუს ახვევს გულ-ჩვილს ქვრივს, სრულიად უშემწეოს და თავის სასიყვარულო ლაზღანდარობას იწყობს. ჩემის აზრით, ერთი და იგივეა: ასე მოქცეულხარ თუ კიბიდგან ვინმესთვის ხელი გიკრავს. სამაგიეროდ გათხოვილ ქალებთან საქმის დაჭერა მეტად მარტივდება!.. იმათ კარგად უწყიან მიზეზები და შედეგნი ჩვენის არშიყობისა და თუ ოდესმე ღირს გვყოფენ და ჩვენ მკერდს დაეკრობიან...

**ქ-ნი დეპელპ.** ჩემო მეგობაროვ, ეგ რაღაც სოციალური ფილოსოფიაა!..

**პოლ** ეს მხოლოდ ჭეშმარიტებაა!..

**ქ-ნი დეპელპ** გულით მინდა ვიცოდე, ასევე ილაპარაკებ, როდესაც ცოლს შეირთავ.

**პოლ**. იმედი უნდა ვიქონიოთ, მამიდავ, რომ ეგ არასოდეს არ მოხდება!.

**ქ-ნი დეპელპ** ნუ ახირდები, შეიძლება როდისმე მოხდეს კიდეც, მაგრამ ესკი ვიცი, რომ ჩემის მიზეზით არ მოხდება დღემდე ვემდური ჩემ თავს, რომ განვიზრახე შენთვის, გზა-კვალ დაბნეულისთვის...

**პოლ** (სიცილით. მოგეთხოვებინათ თქვენი ძმის წული, პოლკოვნიკის ქალი, ის სახელიც-კი ვეღარ მომიგონია იმ გოგოსი.. მახსოვს მხოლოდ, რომ თქვენთან პროვინციიდგან მოვიდა და ერთი კვირა არც-კი გასულიყო, რომ ჩემ წინააღმდეგ ასეთი სამტრო საქმე განიზრახეთ..

**ქ-ნი დეპელპ.** გეყოფა, გეყოფა! შენ ტყუილებსაც მოიგონებ ეხლა.

**პოლ**. ეგრე არ იყო? თქვენა მწერდით... „ჩემო საყვარელო, მეგობარო, ბალსა ვმართავ... რადგანაც პარიჟში ხარ, იმედი მაქვს უარს არ მეტყვი და დამეხმარებიო“...მე არავერი ვუწყოდი, როგორც მორჩილი და უფროსთა პატივის-მცემელი მაშინვე გამოვცხადდი... დამშვიდებულის სულით დარბაზში დავტრიალებდი პატარა მტრედებთან, რომელნიც კისერზედ მომახვიეს...გულმოდგინედ ბუფეტში დამყავნდა, ხილს ვთავაზობდი, მთელი საღამო ვლაპარაკობდი ისეთ საგნებზედ, რომელიც სულ არ მაინტერესებდა...

**ქ-ნი დეპელპ** აჰა რა!..

**პოლ.** დავრჩი ორ საათამდე, ვიდრე სტუმრები გაიფანტებოდნენ... ბოლოს, ნაზის კოცნითა და ათასის მადლობით გამისტუმრეთ...

**ქ-ნი დეპელპ.** მართალია!..

**პოლ.** და მეც, ვითარცა მშვიდი ჭაბუკი, სახლისაკენ გავუდექი გზას...

**ქ-ნი. დეპელპ** (ღიმილით). სახლისაკენ?.. ვითომ??.. მაგრამ მჯერა შენი სიტყვა...

**პოლ.** დილით თქვენგან მეორე ეპისტოლე მივიღე: „ჩემო მეგობარო, შემოიარე ჩემთან საუზმეზედ.. ძალიან საჭირო საქმეზედ უნდა მოგელაპარაკოო“.. მე ეს სურვილიც შეგისრულეთ... არაფერს არა ვფიქრობდი, არაფერს მოველოდი, რომ საუზმეზედ მოულოდნელად წინადადება მომეცით..

**ქ-ნი დეპელპ.** შეგერთო ჩემი დისწული?.. რა გიკვირს?... წინა დღეს სწორედ იმიტომ გაგაცანი, რომ ყოველივე მოგესაზრა.. კარგა ხანია ცოლებს ასე ირთავენ...

**პოლ.** მეც ავღელდი! ან კი როგორ არ ავღელდებოდი, როდესაც მახეს მიგებდით!.. კარგად მაგონდება, ჩემდა ჩასაბმელად, როგორ მარწმუნებდით, დიდად მოეწონე პატარა ქალსაო?.. თითქოს ეს შესაძლებელი იყო... აბა ერთი გაბედეთ და დამარწმუნეთ, რომ თქვენი ძმისწული ეხლაც იტანჯება ჩემის გულისთვის!..

**ქ-ნი დეპელპ.** ეგრეც რომ იყოს, მაინც არაფერს გეტყოდი...

**პოლ** (დაცინვის კილოთი). რატომაო?.. თქვენი ძმისწული უთუოდ ორი წელიწადია მელოდება, უთუოდ მრავალ საქმროს შეუთვალა უარი... რატომ არ მეუბნებით ყველა ამას?..

**ქ-ნი დეპელპ**. რა უნდა გითხრა?.. შენ თვითონაც ხომ კარგად იცი, რომ ყოველივე ეგ მართალი არ არის...

**პოლ.** მაშ გამოტყდით, მაინც წასული საქმეა, რომ მთელს ამ ისტორიაში მართალი არაფერი არ იყო... (ოთახში დადის) მაშასადამე, როგორც მოსალოდნელი იყო, თქვენი ძმისწული გათხოვდა?..

**ქ-ნი დეპელპ** (სერიოზულის კილოთი). განა არ მითქვამს?.. დიახ, გათხოვდა ...და ბედნიერადაც სცხოვრობს..,

**პოლ**, მით უკეთესი!.. აქ არის?..

**ქ-ნი დეპელპ.** განა შენთვის სულ ერთი არ არის, აქაა, თუ სხვაგან?...

**პოლ.** რასაკვირველია, იმასთან შეხვედრის მოლოდინი სიხარულისა და აღტაცების კანკალს არა მგვრის, მაგრამ მაინც საინტერესოა ვნახო გაფურჩქნილი ყვავილი, რომელიც კოკრობის დროს მინახავს.

**ქ-ნი დეპელპ.** შენ, ჩემო მეგობარო, ლირიზმს ეძლევი...

**პოლ.** ყოველთვის ვეძლეოდი, დეიდა.. მაგრამ მაინც არ მითხარით, ჟერმენი აქ არის თუ არა?.

**ქ-ნი დეპელპ.** ჰოო, ეხლა კარგად მოიგონე იმისი სახელი...

**პოლ.** ისე, მოულოდნელად მომაგონდა... (ტერასაზედ გადის) ოჰ, რა კარგია აქა?... რა საუცხოვო სანახავია... რა მშვენიერია ეს ზურმუხტად ქცეული ველი!.. რა სასიამოვნო უნდა იყოს უყურებდე აქედგან ამ განიერ ხეივნებში მოსეირნე მშვენიერ წერწეტ ტანიან ქალს, გადასწვდება ტერასის აივანს და ვარდ მოსწყვეტს).

**ქ-ნი დეპელპ.** რას [illegible] ანდა?

**პოლ.** ვარდი მოვწყვიტე, დეიდავ, რათა თქვენ „მომხიბვლელ“ ძმისწულს მივართვა...

**ქ-ნი დეპელპ.** მე ხომ ჯერ არ მითქვამს, რომ აქ არის-მეთქი!...

ხელოვნების სკოლის დაარსება. მაგრამ... ერთად ერთი პიესა გვქონდა და ისიც ვერ წავიკითხეთ. წარმოსადგენად წარმოგზავნილი ხელთნაწერი ერთის მწერლისა (კარგი სახელი აქვს და მაშინაც ჰქონდა) დიდ ხანს გვეგდო უყურადღებოდ: სულ იმის ლოდინში ვიყავით, შევიკრიბებით და წავიკითხავთო. ვერ მოვიცალეთ და ვერ წავიკითხეთ. ბოლოს ვთქვით, ყველამ ცალცალკე წაიკითხოსო. რა ვიცი, წაიკითხეს? ესკი ვიცი, რომ გამგეობას წასაკითხი პიესა ჰქონდა და ერთხელ ვერ შეკრბა, რომ თავისი მოვალეობა აესრულებინა.

ამის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ მთელს ჩვენს დროს და ყურადღებას „ანტრეპრიზას“ ვანდომებდით, წარმოდგენების მართვას. ანტრეპრიზის მიერ წამოყენებულს, წვრილმანს, სრულიად უმნიშვნელო კითხვებს ვალევდით მთელს ჩვენს ძალას. მართალია, აქაც ვერას ვარიგებდით და ყოველივე ბ. რეჟისსორის ნებისა და სურვილისამებრ მიმდინარეობდა, მაგრამ... რომ ველარ დავახწიეთ თავი უკვე გატკეპნილს ბილიკს! შვიდნი ვსჯიდით იმისთანა კითხვებს, რომლის გადაჭრა ერთს უნდა ჰქონოდა მინდობილი. შვიდნი ვუნდებოდით იმ საქმეს, რომელსაც ერთ დროს მარტოდ-მარტო ბ. გუნია მიუძღოდა,—ჩვენ შვიდნივე ანტრეპრიზამ ჩაგვითრია ძ, თუმცა ვგრძნობდით, რომ ამის გარდა სხვაც მრავალი ვალდებულება გვედვა, ანტრეპრიზას შევალიეთ ჩვენი ძალ-ღონე და სხვისა ველარა ვიზრუნეთ-რა.

რომაელ ქურუმებივით ცხრაკლიტულში ვისხედით ჩამალულები და ისე ვბჭობდით საიდუმლოდ. ნეტავ რა გვქონდა დასამალავი—ჩვენის უსაქმურობის მეტი? დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრნი (ხუმრობა-კი ნუ გგონიათ ეს სახელი!) დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ჩვენს მეტს მთელს საქართველოში დრამატიული ხელოვნებისა არც არავის ეყურება რამე, არც სიყვარული და გამოცდილება აქვს, არც შრომა და დახმარება შეუძლიან. მართალია, ჩვენად ისიც-კი ვერ მოვახერხეთ, რომ გალერეაში უბილეთოთა სიარული მოგვესპო, ან სათარგმნელ კლასიკური პიესების სია მაინც შეგვედგინა და გამოგვეცხადებინა,—სად გვეცალა ანტრეპრიზით გატაცებულთ?—მაგრამ საზოგადოების წევრთ-კი მაინც არ მივმართეთ და არ ვთხოვეთ დახმარება.

განა არ შეიძლებოდა ერთისთვის მიგვენდო ანტრეპრიზა და დანარჩენთ სხვა საქმისთვის მოგვევლო? განა არ შეიძლებოდა საზოგადოების წევრნი მოგვეხმო და საზოგადო საქმეში დახმარება გვეთხოვნა? მათი ძალით და საქმისადმი სიყვარულით გვესარგებლნა? განა საზოგადოების წევრთა შორის არ მოიპოვებიან იმისთანანი, რომ თვალყურს ადევნებენ ევროპის დრამატიულ მწერლობას? სიას მაინც შევადგენდით, მთარგმნელები თუ არ აღმოჩნდებოდნენ. განა მთელს საზოგადოებაში არ აღმოჩნდებოდა იმოდენი ძალი, რომ ჟურნალი თუ არა, რამდენიმე პიესა მაინც გამოგვეცა? მაგრამ, აკი მოგახსენეთ, ჩვენს იქით დრამატიული ხელოვნების ერთგული არვინ მიგვაჩნდა და ჩვენ-კი ანტრეპრიზას ვუნდებოდით.

მართალია, იქაც ვერას ვარიგებდით... ან რას გავარიგებდით ბ. რეჟისსორის მაჩანჩალანი? და სწორეთ მაჩანჩალანი ვიყავით, უკაცრავოდ-კი გახლავართ ამ სიტყვაზედ; ერთი პიესა ვერ ვითამაშეთ ჩვენი არჩეული: ბ. რეჟისსორს გარდერობიც მაშინ გაუწყდებოდა, აქტიორებიც მაშინ დაექსაქსებოდა, როლების განაწილებაც მაშინ გაუძნელდებოდა და „შეუძლებელია“—გვათქმევინებდა.

ასე იყო და ასევე იქნება, ვიდრე დრამატიულ საზოგადოების გამგეობა არსებობს და თვით საზოგადოება-კა არა. ნურვინ იტყვის, პარადოქსიაო. არა, ჭეშმარიტებაა: დღეს ერთად ერთი უფლება აქვს საზოგადოების წევრს—სამ წელიწადში ერთხელ გამგეობა აირჩიოს. სხვა არაფერი. საწევრო ფული-კი... თუ შეიტანა, კარგი; თუ არა და ანტრეპრიზა თეატრის შემოსავლით და სამადლოდ მიწოდებულ ფულითაც გაუძლევება როგორმე სეზონს.

თუ გამგეობას ნებავს არა მარტო წარმოდგენების მართვაზედ, არამედ უფრო ფართო ასპარეზზედ მოღვაწეობდეს, საზოგადოების წევრთა დახმარებას უნდა მიმართოს. მსჯავრის დამდები ძ აღმასრულებელი იგივე გამგეობა იქნება,—ჩვენ, წევრნი, იმათ უფლებას არას ვეცილებით,—ოღონდ გვინდა დრამატიულ ხელოვნების განვითარებაში ჩვენც აღგვიდგინონ ჩვენნი უფლებანი საზოგადო საქმეში მონაწილეობისა, ესე იგი მიგვიხმონ ძ სავსებით მოიხმარონ ჩვენი ძალი და ცოდნა. დღეს წევრი საზოგადოებისა სრულიად არაფერია: იცის, რომ ხუთი მანეთის მეტი იმისგან არაფის-რა უნდა და იმასაც არავინა სთხოვს სამ წლამდე. დღეს არაფერია, თუმცა შეიძლება გამგეობის წევრებზედ არა ნაკლებ უყვარდეს საქმე, უნდოდეს და შეეძლოს კიდეც შრომა.

იტყვიან: მოვიდნენ და დაგვეხმარონო.

არა! მოიწვიეთ ყველა წევრი საზოგადოებისა, გააცანით თქვენნი წადილნი და საჭიროებანი და მაშინ გამოჩნდება, ვინ როგორ დაგეხმარებათ.

დღეს „ანტრეპრენიორი“ ბრძანდებით, მაშინ მართლა გამგეობად შეიქნებით.

?

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

23 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** 22 ოქტომბერს საძირკველი ჩაუყარეს იმპერატორის ალექსანდრე III ძეგლისა. დაესწრო ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კოვალევსკი—22 ოქტომბერს საძირკველი ჩაჰყარეს ბავშვთა საავადმყოფოსი, რომელსაც მათის უდიდებულესობის კურთხევის სახსოვრად აარსებენ. საავადმყოფო დაჯდება 1,700,000 მანეთად. ქალაქი აშენებს ამ საავადმყოფოს.

**კალუგა.** ერობის სიერობო კრებამ გადასწყვიტა ის ფული, რომელიც მასწავლებელთათვის უნდა გამოექლოთ მათს საპენსიო კასსაში შესატანად, თვით შეიტანოს.

**ვილნო.** 20 ოქტომბერს დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე სადგურიდგან იუნკრის სასწავლებელში წავიდა, სადაც დაესწრო პანაშვიდს, შემდეგ გაკვეთილებს, საუზმესა და სადილს. საუზმეზედ დიდი მთავარი ოლქის ჯარის უფროსთან იყო. იუნკრებმა „ურას“ ძახილით გააცილეს დიდი მთავარი, რომელიც სადამოზედ წავიდა.

**პარიჟი.** ხმელთა შუა ესკადრის გემები ზღვაში გასასვლელად ემზადებიან. ამბობენ, იმ სადარაჯო გემებმა, რომელნიც კრიტსა და გენუაში არიან, ბრძანება მიიღეს კალიარს შეუერთდნენ.

**პარიჟი.** კრეისერი „ადმირალი შარნერი“, ჩინეთიდგან დაბრუნებული, ტულონში წავიდა და არა ადმირალის კალიარის დივიზიას შეუერთდა, როგორც გაზეთები სწერდნენ.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის მთავრობის მიერ გავრცელებული ხმები, ვითომც ლორანდოს საქმე საბოლოოდ გადასწყდა და საფრანგეთ-ოსმალეთს დავა მორიგდა, სინამდვილეს არ შეეფერება თუმცა გამოქვეყნებულ იქმნა სულთანის ირადე, რომლითაც ეუწყა საფრანგეთის საელჩოს, რომ პორტა თანხმობს მციერ ვადაზედ გადაიხადოს 345,000 ოსმალური გირვანქა ლორანდოს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ბასტი მაინც იუწყება, რომ ეს წინადადება სულთანის არ შეიძლება მიღებულ იქმნას, რადგანაც ერთის მხრით არავითარ გარანტიას არ იძლევა და მეორეს—ნამდვილ ვადას არ აწესებს იმისას, თუ როდის უნდა იქმნას შესრულებული საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნილებაო.

**პარიჟი.** დიუპუის სამინისტროს გაზეთი „Petit Par.“-ი აცხადებს, რომ გადაუწყვეტელ საქმების მოგვარების შემდეგ, საფრანგეთმა უნდა მოსთხოვოს ახალი გარანტიები ოსმალეთის მხრით კაპიტულიაციის შესასრულებლად- როგორც ისმის, დელკასსე ამ საქმეს პალატას მხოლოდ მაშინ აუწყებს, როდესაც კალიარის ესკადრა დანიშნულს ადგილს მივა.

**ლონდონი.** ტახტის მემკვიდრის დაბრუნების გამო გამართულ ნადიმზედ მეფემ სადღეგრძელო წარმოსთქვა და, სხვათა შორის, განაცხადა: „თუმცა, სამწუხაროდ, ომი ჯერ კიდევ არ გათავებულა, მაგრამ ჩვენ მხურვალედ ვლოცულობთ მშვიდობიანობის აღსადგენადაო.“

**პარიჟი.** პალატა, დეპუტატი სამბო შეეკითხა მთავრობას საფრანგეთ-ოსმალეთის საქმის გამო. დელკასსემ თანხმობა განაცხადა პასუხის გებაზედ. სამბომ გამოარკვია ის, რის შესახებაც შეეკითხა. იმან მოითხოვა, რომ მთავრობამ არაფერი მოიქმედოს უპარლამენტოდ; სთქვა, რომ აღმოსავლეთი მოულოდნელი საქმეთა ქვეყანააო; გაკვირვება განაცხადა, რომ საფრანგეთი კერძო საქმის გამო გაერია და სომეხთა არეულობების დროსკი წყნარად იყო. მთავრობამ უნდა აცნობოს პალატას, როდის და რა პირობებში იქმნება ესკადრა გაწვეული. ორატორმა სურვილი გამოსთქვა, სახელმწიფოებმა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენონ სულთანი, რომ სომეხთა ჟლეტა აღარ განახლდესო (ტაშის ცემაა უკიდურეს მემარცხენეთა სკამებზედ) კოშენი ჰფიქრობს, რომ საფრანგეთმა სახელმწიფოებს უნდა მიჰმართოს და ეცადოს შესრულებულ იქმნას ბერლინის ტრაქტატი და კაპიტულიაციაო ორატორმა მოიხსენია ტრანსვაალი და გაჰკიცხა ომი, ბურების წინააღმდეგ დაწყობილი. კოშენმა სთქვა, მოსთხოვენ თუ არა სახელმწიფონი სულთანს იმ რეფორმების შესრულებას, რომლებსაც ქრისტიანებს დაჰპირდაო? ტრიბუნაზედ დელკასსე ავიდა. მინისტრმა მიუგო, რომ საფრანგეთს თვალი არ მოურიდებია სომეხთა საქმეებისაგან იგი, იცავს რა თავის ქვეშევრდომთა ქონებრივ ინტერესებს, თანასწორ მზრუნველობას გამოიჩენს ზნეობრივ ინტერესების საქმეშიც. საჭიროა, ოსმალეთს, მართლ-მსაჯულების დარღვევისა და საქმის გაჭიანურების საპასუხოდ საფრანგეთმა დაანახვოს, რომ მას შეუძლიან სხვა რამ იმოქმედოს, ვიდრე მისის მთავრობის სულგრძელობაა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ოსმალეთის არა-კეთილ სინიდისიერება ტუბინისა და ლორანდოს საქმეში იყო მიზეზი სადიპლომატო დამოკიდებულების შეწყვეტისაო. საფრანგეთი არ დაეძებს არავითარს ახალს სარფას, მაგრამ ჰსურს, რომ იმის ინტერესებს პატივსა სცემდნენ; იგი ვერ მოითმენს, რომ იმის საქველ-მოქმედო და სასკოლო დაწესებულებებს და სამრეწველო საქმეს ეხებოდნენ. „ჩვენ მით უფრო მხნედ მოვიქცევით, რაც უფრო დარწმუნებული ვართ სიმართლეს და რაც უფრო დიდხანს ვითმინეთ“. (ტაშის ცემაა).

**სიმლა.** 21 ოქტომბერს მახუდემი დაეცნენ ბენგალის ცხენოსანს რაზმის 32 კაცს. 13 სიპაი მოკლულ იქმნა. როგორც ისმის, ბევრი მახმუდი ტყვედ წაიყვანეს.

**პარიჟი.** პალატა. ზოგიერთა საპასუხოდ დელკასემ სთქვა, რომ არასოდეს არ ვივიწყებდი სომეხთა და ქრისტიანთა დაცვის საქმესაო. შევიწროება მაკედონისა და ძველ სერბიაშიაცაა. საფრანგეთი ეცდება შესრულებულ იქმნან ბერლინის ტრაქტატის დადგენილებანი. კამათი დასრულდა.

**პარიჟი.** პალატა. სამბომ ურჩია პარლამენტს მიიღოს შემდეგი მორიგ საქმეებზედ გადასასვლელი ფორმულა; „პალატა, დარწმუნებულია რომ საფრანგეთი თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს, თუ სომხებს ნამდვილ მფარველობას არ გაუწევს და არ ეცდება ამ მფარველობის გაადვილებას სახელმწიფოებთან შეთანხმებით, გადადის და სხვა“. შასტენემ სხვა ფორმულა წამოაყენა, რომელთაკ მთავრობა მიემხრო. ვალდეკ-რუსსომ უარ-ჰყო სამბოს წინადადება, რადგანაც პალატა არ აცხადებს ნდობას, რომელსაც მთავრობა საჭიროობს მძიმე საქმის შესასრულებლად (ტაშის ცემაა). რიბომ სთქვა, რომ მე ჩემის მხრით ნდობას არ გამოუცხადებ მთავრობას, რადგანაც არ ვენდობი იმის საზოგადო პოლიტიკასაო. ბრისონმა სთქვა, ნდობის გამოუცხადებლობა დღევანდელ საქმეთა ვითარების დროს ჰნიშნავს. საფრანგეთის პრესტიჟის დამცირებასაო. იმან ურჩია რესპუბლიკელებს ნდობა გამოუცხადონ მთავრობას. პალატამ სამბოს ფორმულა უარ-ჰყო 394 ხმით 75 ხმის წინააღმდეგ. შასტენეს წინადადებაში ნათქვამია: „პალატს, ენდობა-რა რომ მთავრობა აიძულებს პატივი სცენ საფრანგეთის ინტერესებსა და სახელს, გადადის“ და სხვა. შასტენეს წინადადება პალატამ მიიღო 305 ხმის უმეტესობით 77 ხმის წინააღმდეგი სხდომა დამთავრდა.

**ლონდონი.** იმ კომისიამ, რომელსაც სამხრეთ აფრიკიდგან ამ ომის დროს გადასახლებულთა დაჯილდოვების საქმე აქვს მინდობილი: კადასწყვიტა სხდომა ოთხშაბათამდე გადასდოს, როდესაც მოისმენს რუსეთის ერთის ქვეშევრდომის თხოვნას, რომელიც არ იქმნა შეტანილი რუსეთთან დადებულ შეთანხმებაში რადგანაც საფრანგეთის წარმომადგენელთან მოლაპარაკებას სასურველი ნაყოფი ვერ მოჰყვა, გადასწყვიტეს მომავალ ორშაბათს განაგრძონ მოლაპარაკება ერთის ფრანგ მოდავის საქმის გამო.

---

**პოლ.** არ გითქვამთ, მაგრამ ვიცი, რომ ასეა... (აქეთ-იქით იყურება) ყვავილები ვაზებში, დაწყებული სურათი.. ყველაფერი ჰმოწმობს, რომ აქ ახალგაზრდა ქალი სცხოვრობს..

**ქ-ნი დეპელი.** გმადლობ! მაშ მე აღარაფერი ვყოფილვარ?...

**პოლ.** აბა, თქვენ თვითონ შეჰხედეთ.. აი თქვენი ნაქარგი.. ეს-კი, წმინდად მომზადებული, რასაკვირველია, თქვენის ხელის ნაყოფი არ არის (აიღებს ჟერმენის ნაქარგს) ოჰ, რა მშვენიერი სურნელებაა!..

**ქ-ნი დეპელი.** უთუოდ, ქ-ნ ოსიპ..

**პოლ.** არა, უფრო ნაზი სურნელებაა... ნუ თუ ეხლაც უარსა ჰყოფთ და იტყვით, რომ აქ არ არისო?. მოვხვდი. დარწმუნებული ვარ, აქ არის!.

**ქ-ნი დეპელი.** იმ საზღაპრო გმირისა არ იყოს, წინ-და-წინვე მოჰხვდი..

**პოლ.** დავივიწყოთ წარსული; ნება მომეცით განვაახლო ჟერმენთან ნაცნობობა...

**ქ-ნი დეპელი.** რისთვის?.. რამდენიმე წუთის შემდეგ ხომ უნდა წახვიდე!...

**პოლ.** მთელი ცხოვრება, დეიდა, წუთებისაგან შესდგება, არ უნდა გაექცე იმ წუთებს, რომელთაგანაც სიამოვნება მოგელის!...

**ქ-ნი დეპელი.** (თავისთვის) რატომაც არ უნდა გავაცნო?.. იქნება ამას კარგი ბოლოც მოჰყვეს.. (იმას) კარგი, ბოროტი ადამიანი არა ვარ...

**პოლ.** ოჰ, დეიდავ, კეთილი ანგელოზი ხართ თქვენა!.. (ზედ დაიხედავს) რვა საათის რკინის გზით მგზავრობის შემდეგ ქვის მთლელსა ვგევარ... არ შეიძლება სადმე მოვლამაზდე?

**ქ-ნი დეპელი.** აი, შე თვალთმაქცო, შენა!.. საარშიყოდ ხომ არ ემზადები?.. მიფრთხილდი! (თითს უქნევს).

**პოლ.** განა ვინა გგონივართ, დეიდავ?.. იმდენად სულელიც არა ვარ, რომ კურკური დაუწყო ახალგაზრდა ქალს, ახლად გათხოვილს, რომელსაც, რასაკვირველია, ახალგაზრდა და მხნე ქმარი ჰყავს: საკმაოდ თავმოყვარე ვარ და ვეცდები პირში ჩალა-გამოვლებული არ დავრჩე...

**ქ-ნი დეპელი.** მართალი ხარ... ჟერმენი აღმერთებს თავისს ქმარს... (კარებთან მიიყვანს) შედი, ყველაფერს ჰნახავ იქ, რაც-კი საჭიროა შენთვის... (პოლ მარჯვნივ შედის) რასა იქს ეხლა ნეტა ჩემი ჟერმენი?... (მარცხნივ მიდის) ჟერმენ!.. ჟერმენ!.. ვინ იცის, იქნებ ეხლა მაინც გარიგდეს საქმე!..

ი. ა—ძე.

(შემდეგი იქნება).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.